



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №28

2014 წლის 29 აგვისტო
ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს :

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის თანდართული დებულება.

2. ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2006 წლის 30 ნოემბრის №4-3 დადგენილება (გაზეთი აჭარა №230; 15.12.2006 წ. გვ. 14,15).

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 5 სექტემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი ჭეიშვილი

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილება
2014 წლის 29 აგვისტო N28

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული.

2. სამსახური შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების შესაბამისად.

3. სამსახურის სრული დასახელებაა: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

4. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, უფროსის მოადგილე(ებ)ისა და სამსახურში შემავალი განყოფილებებისაგან.

5. სამსახურის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანულ კანონს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს“, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, ასევე წინამდებარე დებულებას.

6. სამსახური არ წარმოადგენს დამოუკიდებელ საბიუჯეტო დაწესებულებას, არ აქვს დასრულებული ბალანსი და ანგარიში.

7. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25.

8. სამსახურს აქვს ბეჭედი საკუთარი დასახელების აღნიშვნით. სამსახური იყენებს მერიის ტიტულიან ბლანკს, საკუთარი დასახელების დამატების აღნიშვნით.

თავი II. სამსახურის საქმიანობის პრინციპები

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის პრინციპებია:

- ა) მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- ბ) კანონის წინაშე თანასწორობა;
- გ) საქმიანობა კანონმდებლობის საფუძველზე;
- დ) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონმდებლობის საფუძველზე;
- ე) საქმიანობის განხორციელება საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეწონასწორებით;
- ვ) მიუკერძოებლობა;
- ზ) საქვეყნოობა და საჯაროობა.

თავი III. სამსახურის ფუნქციები და ამოცანები

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის უფლებამოსილებებია:

ა) ქალაქ ბათუმში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მართვა (კოორდინაცია და ზედამხედველობა);

ბ) ქალაქ ბათუმის მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელების ორგანიზაცია კანონის შესაბამისად;

გ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო პროგრამების შემუშავება;

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ქალაქ ბათუმში განსახორციელებელი სახელმწიფო და საქალაქო პროგრამების ურთიერთკოორდინაცია;

ე) არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბათუმში განსახორციელებელი სამედიცინო და სოციალური პროგრამების კოორდინაცია;

ვ) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დარგში ღონისძიებათა შემუშავება;

ზ) სოციალურ სფეროში სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელ პროგრამებში მონაწილეობა და მათი კოორდინაცია;

თ) ქალაქის მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, გარანტირებული, კვალიფიციური, ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების გაწევის ორგანიზაცია, არსებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან შეთანხმებული, კოორდინირებული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ი) ქალაქ ბათუმში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია დაწესებული ნორმებისა და მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად;

კ) დამტკიცებული სტანდარტების ფარგლებში სამედიცინო დახმარების ხარისხის უზრუნველყოფა;

ლ) ქალაქის ტერიტორიაზე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სპეციალური ადგილობრივი პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა;

მ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ჯანდაცვის პროგრამების შემუშავება და გატარება;

ნ) ქალაქის ჯანდაცვის ქსელში (როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულში) მიმდინარე პროცესების რეფერალური და სახელმწიფო პროგრამების მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისკენ მიმართული სხვა გლობალური ღონისძიებების (მათ შორის სამედიცინო დაზღვევის) შესახებ საერთო ინფორმაციული ბაზის შექმნა, პროგრამის განხორციელებელთან კოორდინაცია;

ო) ქალაქის ჯანდაცვის სფეროდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებული გარკვეული ფუნქციების აღება;

პ) სანიტარიული კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება კანონის შესაბამისად;

ჟ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება;

რ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლინება და დაავადების მიზეზთა და რისკფაქტორთა დადგენა.

ს) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი, ავადობის გრძელი და მოკლევადიანი პროგნოზირება.

ტ) თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად შრომის, ყოფაცხოვრების და დასვენების უსაფრთხოების განმსაზღვრელი წესებისა და ნორმების დაცვაზე ზედამხედველობა;

უ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ფ) ავადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება დადგენილი წესით;

ქ) გადამდები (განსაკუთრებით საკარანტინო) დაავადებების ეპიდკონტროლის განხორციელება, მათი აღმოცენების, გავრცელების შეზღუდვა, სათანადო ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზაცია და გატარება;

ღ) სამედიცინო დაწესებულებებში ეპიდრეჟიმის კონტროლი. ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში (საპარაკმახეოები, კოსმეტიკური კაბინეტები, სასტუმროები, კემპინგები, მოტელები, ავტოსადგომები, აბანოები, საუნეები, საშხაპეები, სამრეცხაოები, საზოგადოებრივი პლაჟები, კინოთეატრები, საკონცერტო დარბაზები, სპორტული მოედნები, ნაგავსაყრელები, ტურისტული ბაზები, სანატორიუმები, სათამაშო სახლები, საგამოფენო დარბაზები, კლუბები, ატრაქციონები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა დაწესებულებები) სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ყ) დადგენილი წესით დაწესებულების მოწყობის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის დასკვნის გაცემა;

შ) მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას სამართალდამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ;

ჩ) მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის სოციალური დახმარებისა და სხვადასხვა სახის შეღავათების გაწევა;

ც) მოსახლეობის სოციალური მონიტორინგი და ინდივიდზე ორიენტირებული-პერსონიფიცირებული სოციალური დახმარების გაწევა;

ძ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ჯანდაცვის პროგრამების შემუშავება;

წ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

2. სამსახურის ამოცანებია:

ა) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მასზე სოციალური პირობების გავლენის შესწავლა;

ბ) დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად, ქალაქის სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ოპტიმიზაციის ხელშეწყობა;

გ) საქმიანი კონტაქტების დამყარება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ფიზიკურ პირებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

დ) სამედიცინო დაწესებულებებთან, მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად, სახელშეკრულებო პირობების დაცვის კოორდინაცია;

ე) მოსახლეობის დაუცველი ფენებისათვის სოციალური დახმარებისა და სხვადასხვა სახის შეღავათების გაწევა, მოსახლეობის სოციალური გარანტიების განმტკიცების მიზნით, სადაზღვევო კომპანიების მუშაობის ხელშეწყობა;

ვ) ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სოციალური დაცვის, დასაქმებისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა;

ზ) სამზრუნველო დაწესებულებების ქსელის განვითარება, თავშესაფრების მოწყობა და მოსახლეობის სოციალური ადაპტაციისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების გატარება;

თ) მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სტატისტიკური მონაცემების და ქალაქ ბათუმის ბენეფიციართა ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა;

ი) შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების ადგილობრივი პროგრამების შედგენა – განხორციელება, დემოგრაფიული პროგრამების ინფორმაციული ბანკის შექმნა;

კ) ცხოვრების ჯანსაღი წესის, მავნე ჩვევათა და საერთო ქცევითი დამოკიდებულებების კორექცია ჯანსაღი უნარ-ჩვევათა განვითარების ფორმირების და დამკვიდრების მიზნით ადგილობრივი მასობრივი საინფორმაციო საშუალებით და სხვა ღონისძიებებით ფართო სამედიცინო სააგიტაციო-პროპაგანდისტური მუშაობის ორგანიზაცია-წარმართვა;

ლ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის დაავადებათა პროფილაქტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. შესაბამისად პროფილაქტიკური პროგრამების პროექტირება, ორგანიზება და განხორციელების ხელშეწყობა.

მ) ქალაქ ბათუმის მოსახლეობის და მიზნობრივ ჯგუფებში (შ.შ.მ. პირები, სოციალურად დაუცველები, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, და სხვა) სხვადასხვა სახის დახმარების ხელშეწყობა;

ნ) დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით სქრინინგ-პროგრამების შემუშავება;

ო) სანიტარიულ კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, მოსახლეობისათვის ეპიდკეთილსამედო მდგომარეობის უზრუნველყოფა;

პ) ჯანდაცვითი პროგრამების (ცენტრალური და მუნიციპალური) პროექტების შედგენასა და დამტკიცებაში მონაწილეობა;

ჟ) მოსახლეობაში პრევენციურ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ინფორმირებულობის დონის შეფასება;

რ) ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით ეპიდ-სიტუაციის გაუარესების პროგნოზირება და სათანადო წინადადებების შემუშავება;

ს) მედიკამენტების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა;

ტ) სოციალური კვლევების წარმოება, ჯანსაღ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა ფორმირების ხელშეწყობა საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებების ეფექტური განხორციელების მიზნით;

უ) დონაციის ორგანიზების საინფორმაციო სისტემის ფორმირება, რისკ-ჯგუფების კვლევა;

ფ). საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და საქართველოს სხვადასხვა კანონით დადგენილი ზომების განხორციელება;

ქ) ტრავმატიზმის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებელი ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ღონისძიებების მონიტორინგი;

ღ) ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მართვის და პროფილაქტიკის ხელშეწყობა;

ყ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

თავი IV. სამსახურის ხელმძღვანელობა

მუხლი 4. სამსახურის უფროსი და მისი უფლებამოსილებები

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი (შემდგომში - სამსახურის უფროსი).
2. სამსახურის უფროსს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.
3. სამსახურის უფროსი:
 - ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;
 - ბ) მერს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა მიერ მორიგი და დამატებითი შვებულებების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;
 - გ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს, სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურებრივ მოვალეობებს;
 - დ) ამზადებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტებს. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
 - ე) ხელს აწერს სამსახურის მიერ მომზადებულ დოკუმენტაციას;
 - ვ) მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სტრუქტურული ერთეულის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;
 - ზ) უშუალოდ იხილავს სამსახურის საჯარო მოხელეთა სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე შეტანილ საჩივრებს;
 - თ) ხელწერით ადასტურებს სამსახურიდან დოკუმენტების და სხვა მასალის გასვლას, რაც არ ითვლება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებად;
 - ი) უშუალოდ იხილავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ საკითხებს, ასეთის უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში;
 - კ) სამსახურისადმი მიკუთვნებული უფლებამოსილების ფარგლებში ითანხმებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების პროექტებს;
 - ლ) სამსახურისადმი მიკუთვნებული უფლებამოსილების ფარგლებში ითანხმებს მერიის სტრუქტურულ ერთეულებში მომზადებული საკითხების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას და თვითმმართველობის საქმიანობიდან გამომდინარე, თვითმმართველობისათვის მისი მიზანშეწონილობის საკითხს;
 - მ) სამსახურებრივ საკითხებზე კონსულტაციებს უწევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს, ვიცე-მერს, მერის მოადგილეებს, ასევე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;
 - ნ) წარმოადგენს სამსახურს მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობისას;
 - ო) მონაწილეობს თვითმმართველობის საქმიანობიდან გამომდინარე შექმნილ კომისიებში;
 - პ) ესწრება მერის თათბირებს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
 - ჟ) შეიძლება დაესწროს საკრებულოს სხდომებს და სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს საკრებულოს კომისიების მუშაობაში;
 - რ) ერთ-ერთ თანამშრომელს ავალებს საქმისწარმოების ფუნქციების შესრულებას;
 - ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს მერის, ვიცე-მერის და მერის კურატორი მოადგილის ცალკეულ დავალებებს;

ტ) მერის დავალებით ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

4. სამსახურის უფროსი უფლებამოსილია უშუალოდ განახორციელოს სამსახურისადმი ან/და სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფისადმი მიკუთვნებული ნებისმიერი უფლებამოსილება.

5. სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია სამსახურის საქმიანობისათვის მერის წინაშე.

6. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია სამსახურის საქმიანობისათვის მერისა და კურატორი მოადგილის წინაშე.

7. სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების და სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის, აგრეთვე, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად.

მუხლი 5. სამსახურის უფროსის მოადგილეები და მათი უფლებამოსილებები

1. სამსახურის უფროსს ჰყავს ორი მოადგილე (შემდგომში - უფროსის მოადგილე).

2. უფროსის მოადგილეებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

3. მოადგილეებს შორის ფუნქცია-მოვალეობებს ანაწილებს სამსახურის უფროსი.

4. უფროსის მოადგილეები:

ა) სრულ კოორდინაციას და ხელმძღვანელობას უწევენ უფროსის მიერ განსაზღვრული განყოფილებების საქმიანობას;

ბ) სამსახურის უფროსის არყოფნისას, უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან/და გათავისუფლებისას მერის გადაწყვეტილების საფუძველზე ერთ-ერთი მოადგილე ასრულებს სამსახურის უფროსის მოვალეობას;

გ) საკურატორო ქვედანაყოფის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე ასრულებენ მერის, სამსახურის კურატორი მერის მოადგილის და სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებებს;

დ) სამსახურის უფროსის დავალებით ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ამოცანებსა და უფლება-მოვალეობებს.

5. უფროსის მოადგილის მიერ წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქმიანობის სრული კოორდინაციისა და ხელმძღვანელობის განხორციელება გულისხმობს:

ა) პასუხისმგებელობას საკურატორო ქვედანაყოფზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) სამსახურის უფროსისადმი წინადადებების წარდგენას საკურატორო ქვედანაყოფის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, საკურატორო ქვედანაყოფის მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა მიერ მორიგი და დამატებითი შვებულებების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

გ) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით საკურატორო ქვედანაყოფის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესის, ფორმებისა და მეთოდების, საკურატორო ქვედანაყოფის მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობების განსაზღვრას;

დ) საკურატორო ქვედანაყოფის მოსამსახურეებისათვის დავალებების მიცემას და მათი შესრულების კონტროლს;

ე) სამსახურის უფროსისათვის საკურატორო ქვედანაყოფის მიერ მომზადებული საკითხების, წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების წარდგენას;

ვ) სამსახურის უფროსისათვის პერიოდულად ანგარიშის წარდგენას საკურატორო ქვედანაყოფის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) საკურატორო ქვედანაყოფის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის, ვიცე-მერის, მერის მოადგილეების, ასევე სტრუქტურული ერთეულებისათვის კონსულტაციების გაწევას.

6. უფროსის მოადგილე მასზე მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.

7. უფროსის მოადგილეები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან სამსახურის უფროსის წინაშე.

8. უფროსის მოადგილეების თანამდებობიდან გათავისუფლების და სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის, აგრეთვე, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი V. სამსახურის სტრუქტურა

მუხლი 6. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები

1. სამსახური შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან.
2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება სამსახურის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.
3. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
 - ა) ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება;
 - ბ) სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების განყოფილება;
 - გ) სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილება.
4. სტრუქტურული ქვედანაყოფის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

მუხლი 7. სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების განყოფილების უფლებამოსილება

1. სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების განყოფილება:
 - ა) შეიმუშავებს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სოციალური დაცვის, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამებსა და სხვა ღონისძიებებს;
 - ბ) შეიმუშავებს და ახორციელებს დედათა და ბავშვთა სოციალური დაცვის დარგში სხვადასხვა ღონისძიებებს;
 - გ) დადგენილი წესით ღებულობს მონაწილეობას სოციალურ სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელ პროგრამებში;
 - დ) შეისწავლის, აანალიზებს და შეიმუშავებს წინადადებებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის, მასზე სოციალური პირობების გავლენის სფეროში;
 - ე) ახორციელებს ღონისძიებებს მოსახლეობის დაუცველი ფენებისათვის სოციალური დახმარებისა და სხვადასხვა სახის შეღავათების გასაწევად;
 - ვ) მოსახლეობის სოციალური გარანტიების განმტკიცების მიზნით ხელს უწყობს სადაზღვევო კომპანიების მუშაობას;
 - ზ) ხელს უწყობს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისა ტერიტორიაზე სოციალური დაცვის, დასაქმებისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას;
 - თ) აწარმოებს მოსახლეობის სოციალურ მონიტორინგსა და ინდივიდზე ორიენტირებულ – პერსონალიზირებულ სოციალური დახმარების გაწევას;

ო) უზრუნველყოფს სამზრუნველო დაწესებულებების ქსელის განვითარებას, თავშესაფრების მოწყობასა და მოსახლეობის სოციალური ადაპტაციისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების გატარებას;

კ) უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნას;

ლ) უზრუნველყოფს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საქალაქო პროგრამების შედგენას, განხორციელებას, დემოგრაფიული პროგრამების ინფორმაციული ბანკის შექმნას;

მ) შეიმუშავებს და ახორციელებს მრავალშვილიანი ოჯახებისა და მოსახლეობის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისათვის საჭირო სპეციალურ პროგრამებს;

ნ) ახორციელებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი სამსახურებისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, “მძიმე მდგომარეობაში მყოფი” ბავშვებისათვის სპეციალური დახმარებების გაწევას;

ო) ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიზნობრივ ჯგუფებში (ინვალიდები, მარტოხელა მოქალაქეები, დევნილი მოსახლეობა და სხვა) სოციალური დახმარების გაწევას.

პ) აწარმოებს სოციალურ კვლევებს, ხელს უწყობს ჯანსაღ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა ფორმირებას, საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებების ეფექტური განხორციელების მიზნით.

ჟ) ამზადებს და სამსახურის უფროსს წარმოუდგენს არსებული ვეტერანების აღრიცხვისათვის საჭირო დოკუმენტაციას ვეტერანის აღრიცხვაზე ასაყვანად. ვეტერანების გარდაცვალების ან სხვა რეგიონში საცხოვრებლად გადასვლის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ აცნობებს შესაბამის ორგანოებს;

რ) ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას ზრუნავს ვეტერანთა სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად საჭირო თანხების ბიუჯეტში გათვალისწინებაზე;

ს) ზრუნავს ადგილობრივი სოციალური პროგრამების შემუშავებისა და ვეტერანთა ინტერესების დაცვაზე;

ტ) ზრუნავს და ხელს უწყობს ადგილობრივი დასაქმების პროგრამებში ვეტერანების მონაწილეობაზე;

უ) აღრიცხავს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბრძოლო დიდების მემორიალებს, ძმათა სასაფლაოებს, მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების საფლავებს, საჭიროებისამებრ იძიებს თანხებს ადგილობრივ ბიუჯეტში მათ მოსავლელად და უკვდავსაყოფად;

ფ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს მერის, ვიცე-მერის და მოადგილეების და სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებებს;

ქ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ამოცანებსა და უფლებამოვალეობებს.

2. განყოფილება მასზე მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ სამსახურის უფროსთან და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილესთან შეთანხმებით.

3. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

4. განყოფილების უფროსის არყოფნისას, უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი განთავისუფლებისას უფროსის მოვალეობის შესრულება მერის ბრძანების საფუძველზე ეკისრება განყოფილების ერთ-ერთ მთავარ სპეციალისტს.

5. განყოფილების უფროსი პასუხისმგებელია სამსახურის უფროსის წინაშე.

6. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსისა და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის წინაშე.

7. განყოფილების უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლების და სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის, აგრეთვე, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 8. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფლებამოსილებები:

1. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ფუნქციებია:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობის სფეროს მიკუთვნებული საკითხების მართვა (კოორდინაცია და ზედამხედველობა);

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელების ორგანიზაცია კანონის შესაბამისად;

გ) ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო პროგრამების შემუშავება;

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სახელმწიფო და საქალაქო პროგრამების ურთიერთკოორდინაცია;

ე) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში ღონისძიებათა შემუშავება;

ვ) ქალაქის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, გარანტირებული, კვალიფიციური, ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების გაწევის ორგანიზაცია, არსებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან შეთანხმებული, კოორდინირებული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ზ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია დაწესებული ნორმებისა და მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად;

თ) დამტკიცებული სტანდარტების ფარგლებში სამედიცინო დახმარების ხარისხის უზრუნველყოფა;

ი) ქალაქის ტერიტორიაზე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სპეციალური ადგილობრივი პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა;

კ) ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება;

ლ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლინება და დაავადების მიზეზთა და რისკფაქტორთა დადგენა;

მ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი, ავადობის გრძელი და მოკლევადიანი პროგნოზირება;

ნ) გარემოს პროფილურ ფაქტორთა მონიტორინგი;

ო) სამედიცინო დაწესებულებებში ეპიდრეჟიმის კონტროლი, საავადმყოფოს შიგა ინფექციების მონიტორინგი კომპეტენციის ფარგლებში;

პ) ქალაქ ბათუმში სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის ახალი, პროგრესული მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

ჟ) საქმიანი კონტაქტების დამყარება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ფიზიკურ პირებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

რ) მრავალშვილიანი ოჯახებისა და მოსახლეობის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისათვის საჭირო სპეციალური პროგრამების შედგენა და მათი უზრუნველყოფა;

ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის სამსახურებსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, „მძიმე მდგომარეობაში მყოფი“ ბავშვებისათვის სპეციალური დახმარებების გაწევა;

ტ) ცხოვრების ჯანსაღი წესის, მავნე ჩვევათა და საერთო ქცევითი დამოკიდებულებების კორექცია ჯანსაღი უნარ-ჩვევათა განვითარების ფორმირების და დამკვიდრების

მიზნით ადგილობრივი მასობრივი საინფორმაციო საშუალებით და სხვა ღონისძიებებით ფართო სამედიცინო სააგიტაციო-პროპაგანდისტური მუშაობის ორგანიზაცია-წარმართვა;

უ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის დაავადებათა პროფილაქტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. შესაბამისად პროფილაქტიკური პროგრამების პროექტირება, ორგანიზება და განხორციელების ხელშეწყობა;

ფ) ჯანდაცვითი პროგრამების (ცენტრალური და მუნიციპალური) პროექტების შედგენასა და დამტკიცებაში მონაწილეობა;

ქ) ქალაქ ბათუმის მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების განხორციელება, ინფორმირებულობის დონის შეფასება;

ღ) ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით ეპიდსიტუაციის გაუარესების პროგნოზირება და სათანადო წინადადებების შემუშავება;

ყ) მედიკამენტების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა;

შ) იოდის და სხვა მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეულ დარღვევათა ეპიდემიოლოგიური კვლევა, გამომწვევი მიზეზების დადგენა;

ჩ) ჯანმრთელობისათვის მავნე ჩვევებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ მოსახლეობის ფართო ფენების ადექვატური ინფორმირება;

ც) ტრავმატიზმის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება. ტრავმის რეგისტრაციისა და ანალიზის საინფორმაციო სისტემების სრულყოფის ხელშეწყობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ღონისძიებების მონიტორინგი;

ძ) ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მართვის და პროფილაქტიკის ხელშეწყობა;

წ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს მერის, ვიცე-მერის და მოადგილეების და სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებებს;

ჭ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ამოცანებსა და უფლებამოვალეობებს.

2. განყოფილება მასზე მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ სამსახურის უფროსთან და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილესთან შეთანხმებით.

3. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

4. განყოფილების უფროსის არყოფნისას, უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი განთავისუფლებისას უფროსის მოვალეობის შესრულება მერის ბრძანების საფუძველზე ეკისრება განყოფილების ერთ-ერთ მთავარ სპეციალისტს.

5. განყოფილების უფროსი პასუხისმგებელია სამსახურის უფროსის წინაშე.

6. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსისა და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის წინაშე.

7. განყოფილების უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლების და სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის, აგრეთვე, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 9. სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილების უფლებამოსილებები

1. სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილების ფუნქციებია:

ა) სანიტარიული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლი;

ბ) თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად შრომის,

ყოფაცხოვრების და დასვენების უსაფრთხოების განმსაზღვრელი წესებისა და ნორმების დაცვაზე ზედამხედველობა;

გ) თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებებში (სილამაზის სალონები, სასტუმროები, აბანოები, სამრეცხაოები, საცურაო აუზები და სხვა), საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში ლაბორატორიული კვლევების ჩატარება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო მავნე ზეგავლენის შეფასება;

დ) მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განყოფილების მოხელეების მეშვეობით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა სამართალდამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ;

ე) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული სახის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელ-შეწყობა;

ვ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ზ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში (საპარკმახეროები, კოსმეტიკურიკაბინეტები, სასტუმროები, კემპინგები, მოტელები, ავტოსადგომები, აბანოები, საუნები, საშხაპეები, სამრეცხაოები, საზოგადოებრივი პლაჟები, კინოთეატრები, საკონცერტო დარბაზები, სპორტული მოედნები, ნაგავსაყრელები, ტურისტული ბაზები, სანატორიუმები, სათამაშო სახლები, საგამოფენო დარბაზები, კლუბები, ატრაქციონები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა დაწესებულებები) სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

თ) დადგენილი წესით გასცემს დაწესებულების მოწყობის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის დასკვნას;

ი) ეპიდსაშიშროებისას თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიების გატარება;

კ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველად ეპიდკვლევის ხელშეწყობა;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს მერის, ვიცე-მერის და მოადგილეების და სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებებს;

მ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ამოცანებსა და უფლება-მოვალეობებს;

2. განყოფილება მასზე მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ სამსახურის უფროსთან და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილესთან შეთანხმებით.

3. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

4. განყოფილების უფროსის არყოფნისას, უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი განთავისუფლებისას უფროსის მოვალეობის შესრულება მერის ბრძანების საფუძველზე ეკისრება განყოფილების ერთ-ერთ მთავარ სპეციალისტს.

5. განყოფილების უფროსი პასუხისმგებელია სამსახურის უფროსის წინაშე.

6. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსისა და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის წინაშე.

7. განყოფილების უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლების და სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის, აგრეთვე, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 10. სამსახურის სტრუქტურაში არსებული თანამდებობები

ამ დებულების შესაბამისად სამსახურის საშტატო ნუსხით სამსახურის შემადგენლობაში დგინდება შემდეგი თანამდებობები:

- ა) სამსახურის უფროსი;
- ბ) უფროსის მოადგილე;
- გ) განყოფილების უფროსი;
- დ) მთავარი სპეციალისტი;
- ე) წამყვანი სპეციალისტი;
- ვ) უფროსი სპეციალისტი;
- ზ) სპეციალისტი.

თავი VI. სხვა დებულებები

მუხლი 11. სხვა დებულებები

წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება საკრებულოს დადგენილებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.